



SOCIÉTÉ FRANÇAISE
DE PHARMACIE ONCOLOGIQUE
ONCOLIEN®

პაციენტის საინფორმაციო ფურცელი



BOSUTINIB - BOSULIF®

რა არის BOSULIF-ი

მოლეკულის აღწერა	აღწერა
ბოსუტინიბი	100 მგ ტაბლეტი: ოვალური, ყვითელი 500 მგ ტაბლეტი: ოვალური, წითელი

როგორ უნდა მიიღოთ წამალი?

წამლის დოზირება განსაზღვრულია თქვენი ექიმის მიერ.

თქვენს შემთხვევაში, უნდა იყოს მგ/დღეში, ანუ 100 მგ-ანი ტაბლეტი

და 500 მგ-ანი ტაბლეტი, მიიღება ერთ მიღებაზე, ყოველდღე.

ტაბლეტი უნდა გადაყლაპოთ მთლიანად ერთ ჭიქა წყალთან ერთად, ფიქსირებულ დროს. კვების განმავლობაში.

თუ დაგავიწყდათ მიღება: მიიღეთ 12 საათის განმავლობაში შესაბამისი დოზა. სამაგიეროდ, ღებინების შემთხვევაში, არ მიიღოთ დამატებითი დოზა. დაელოდეთ შემდეგ მიღებას.

დოზირება - მიღების წესი

ერთი მიღება დღეში, ფიქსირებულ დროს, კვების განმავლობაში									
უნწყვეთლივ	 დ1	 დ2	 დ3	 დ4	 დ5	 დ6	 დ7		 დ28

როგორ მოიქცეთ, რომ არ გამოგელიოთ მარაგი?

ეს წამალი ხელმისაწვდომია ქალაქის აფთიაქებში.

მის მიწოდებას შესაძლოა დასჭირდეს გარკვეული დრო. ყურადღებით იყავით და წინასწარ დაგეგმეთ თქვენი რეცეპტის განახლება.

შეინახეთ ეს წამალი ორიგინალ შეფუთვაში, სითბოსა და ტენიანობისგან დაცულ ადგილას.

სხვა რა ინფორმაცია უნდა იცოდეთ?

გამარფრთხილებელი ზომები და მეთვალყურეობა

თქვენი მედიკამენტის მიღება საჭიროებს ბიოლოგიურ მეთვალყურეობას (სისხლის საერთო ანალიზი, რომელიც საშუალებას იძლევა დავაკვირდეთ სისხლის მაჩვენებლებს, ღვიძლის ფუნქციის, კალიუმის, მაგნიუმის და ტრიგლიცერიდების მონიტორინგისთვის) და კლინიკურ მეთვალყურეობას (ელექტროკარდიოგრამა).

კონტრაცეფცია

ეს წამალი შეიძლება ზიანს აყენებდეს ჩანასახს. თქვენ და თქვენმა პარტნიორმა მკურნალობის მთელი პერიოდის განმავლობაში და მისი შეწყვეტიდან ერთი თვის განმავლობაში უნდა გამოიყენოთ ეფექტური კონტრაცეპტული მეთოდები (პრეზერვატივი და დამატებითი მეთოდი).

მედიკამენტებთან და/ან კვებასთან ურთიერთქმედება

BOSULIF®-ის სხვა პრეპარატებთან ერთად მიღებამ შესაძლოა გამოიწვიოს არასასურველი ეფექტები



(პრეპარატის ეფექტურობისა და ამტანობის შემცირება). ძალიან მნიშვნელოვანია, რომ თქვენი ფარმაცევტი და მკურნალი ექიმი ინფორმირებული იყვნენ ყველა იმ მედიკამენტის და/ან სხვა ნივთიერებების (საკვები, პროდუქტები, მცენარეები, პრობიოტიკები, ეთერზეთები, საკვები დანამატები და სხვ.) შესახებ, რომელსაც იღებთ.

მაგალითი: ნუ მოიხმართ კრაზანას, ბოლდოს, ფუკუსს, აზიურ ჟენშენს, სევილიურ ფორთოხალს, პასიფლორას, ბაბუნავერას BOSULIF®-თან ერთად.

რომელია არასასურველი გვერდითი მოვლენები?

ყველაზე გავრცელებული გვერდითი მოვლენები ჩამოთვლილია ქვემოთ. ასევე შესაძლოა სხვა გვერდითი ეფექტებიც გამოვლინდეს. დამატებითი ინფორმაციისთვის გაეცანით მედიკამენტის ინსტრუქციას ან მიმართეთ ექიმს ან ფარმაცევტს.

გვერდითი მოვლენები	
ყველაზე ხშირი	საჭმლის მომნელებელი სისტემის დარღვევები: დიარეა, გულისრევა, მუცლის ტკივილი, ღებინება სისხლის საერთო ანალიზის მაჩვენებლების დარღვევები: თრომბოციტების (თრომბოციტოპენია), ჰემოგლობინის (ანემია) და/ან ნეიტროფილების (ნეიტროპენია) შემცირება კანის დარღვევები: გამონაყარი, ქავილი წყლის შეკავება: კიდურების და/ან სახის შებერილობა სხვა: ცხელება, დაღლილობა, თავის ტკივილი, ღვიძლის ფუნქციის დარღვევები
ზოგიერთი გვერდითი მოვლენები განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს	პაციენტები, რომლებიც B ჰეპატიტის ვირუსის ქრონიკული მატარებლები არიან (დაავადების რეაქტივაციის რისკი)
როდის უნდა მიმართოთ სამედიცინო გუნდს?	
გააფრთხილეთ სამედიცინო გუნდი შემდეგ შემთხვევებში, თუ არ გაქვთ მიღებული კონკრეტული სამედიცინო რეკომენდაციები	ინფექციის მაჩვენებელი სიმპტომები ტემპერატურა > 38,5 °C ხველება, ყელის ტკივილი, ტკივილი შარდვისას, დიარეა და სიცხე ერთად ინფექციის მაჩვენებელი სიმპტომები თავის ტკივილი, ყურებში ზუზუნი და/ან თავბრუსხვევა ციფრების ზრდა არტერიული წნევის გაზომვისას გულის პრობლემის ან წყლის შეკავების მაჩვენებელი სიმპტომები გონების დაკარგვა, გულის ფრიალი კოჭების, ტერფების ან ფეხების შეშუპება, სუნთქვის გაძნელება სწრაფი და აუხსნელი წონის მატება საჭმლის მომნელებელი სისტემის დარღვევები თუ დიდი რაოდენობით დაკარგეთ წონა და/ან სწრაფი და ძალიან ხშირი დიარეა გაქვთ და 4-ზე მეტზე გადიხართ კუჭში; ინტენსიური ტკივილი მუცლის არეში ღირისის სინდრომის მიმანიშნებელი სიმპტომები ფერადი შარდი შარდის გამოდენის რაოდენობის შემცირება. ტკივილი ერთ მხარეს, ნეკნების ქვემოთ
როგორ უნდა მოახდინოთ გვერდითი მოვლენების პრევენცია?	
ინფექცია	მოერიდეთ რისკის შემცველ ადგილებს (ხალხმრავლობა, ავადმყოფებთან კონტაქტი და ა.შ.). რეკომენდირებულია პნევმოკოკისა და გრიპის საწინააღმდეგო აცრა: ის თქვენ დაგიცავთ.
წნევის კონტროლი	მაღალი წნევა უნდა გამოსწორდეს. არტერიული წნევის რეგულარული გაზომვა რეკომენდირებულია. ფარმაცევტებს შეუძლიათ დაგეხმარონ წნევის გაზომვაში. შეგიძლიათ სთხოვოთ, რომ თქვენთვის გაიზომოთ ავტო გაზომვით.
წონა	გააკონტროლეთ რეგულარულად თქვენი წონა კუჭ-ნაწლავის დარღვევების დროს ან წყლის შეკავების შემთხვევაში

კანის მოვლა	ჰიგიენისთვის უპირატესობა მიანიჭეთ რბილ საპონს და დამატენიანებელ კრემს, გაიშრეთ ტამპონირებით. მოერიდეთ ნებისმიერი გამაღიზიანებელი საშუალების გამოყენებას. მზისგან დასაცავად გამოიყენეთ მზისგან დამცავი კრემი და მოერიდეთ მზეზე გასვლას.
დაღლილობა	ამჟობინეთ ისეთი აქტივობები, რომლებიც თქვენს კარგად ყოფნას უწყობს ხელს, განსაკუთრებით კი ადაპტირებული და რეგულარული ფიზიკური აქტივობა: სიარული, მებაღეობა, ცურვა, ველოსიპედით სიარული, სპორტი და ა.შ. ჩაანაცვლეთ აქტივობის პერიოდი დასვენებით და პირიქით.
წყლის შეკავება (კიდურების შებერილობა)	ნუ ატარებთ ძალიან მოჭრილ ტანსაცმელს, წინდებსა და ფეხსაცმელებს. ააწყვეთ ფეხები სიმაღლეზე. აიკონტროლეთ წონა.
როგორ უნდა დაიწყოთ ადაპტირებული კვება?	
დიარეა	უპირატესობა მიანიჭეთ დაბალ ბოჭკოვან დიეტას. სასურველია, მიირთვათ სახამებლიანი პროდუქტები, სტაფილო და ბანანი. მოერიდეთ უმ ხილს და ბოსტნეულს, რძის პროდუქტებს, ყავას და ალკოჰოლს. დალიეთ წყალი დიდი რაოდენობით.
გულის რევის შეგრძნება	უპირატესობა მიანიჭეთ ფრაგმენტულ კვებას, რომელიც გადანაწილებულია რამდენიმე მსუბუქ რაციონად. საკვები უნდა იყოს თხევადი და ცივი. შეზღუდეთ ცხიმოვანი, შემწვარი და ცხარე საკვები.
წყლის შეკავება	უპირატესობა მიანიჭეთ დაბალი რაოდენობის მარილიან საკვებს.